ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 11

ქ. რუსთავი

22 ნოემბერი 2012 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ: ს.ს.ი.პ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქ. რუსთავის სამუსიკო სასწავლებელი, (შემდგომში-შემსყიდველი) მისამართი ქ. რუსთავი, ჭავჭავაძის №4. წარმოდგენილი მისი დირექტორის, მედეა გამსახურდიას სახით.

მეორეს მხრივ: შპს "ელ-+"(შემდგომში-მიმწოდებელი) მისამართი: ქ. თბილისი, ბაქრაძის №6. წარმოდგნილი მისი დირექტორის ლ. ჭუმბურიძის სახით.

ადასტურებენ, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ერთ პირთან მოლაპარაკების გზით მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მიმწოდებელი შემსყიდველს მიაწვდის 2ც, (ცალი 225ლ) საევაკუაციო გეგმა (პოსტერი), 1ც. (ცალი 100ლ) ფხვნილოვანი ცეცხლმაქრი 4კგ (ოპ-4), 1ც, (ცალი 45ლ) ფხვნილოვანი ცეცხლმაქრი 4კგ (ოპ-4)-ის დამუხტვა. სულ ჯამი 595ლარი

2.2 საქონლის მოწოდება უნდა დასრულდეს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა 595 ლარი(ხუთასოთხმოცდათხუთმეტ),

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 –ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **მიმწოდებელი:**

4.1.1 ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს შეთანხმებული ხარისხის მომსახურება.

4.1.2 მიაწოდოს შემსყიდველს მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში

4.1.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და გასცეს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

4.1.4 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 **შემსყიდველი:**

4.2.1 ვალდებულია ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში აანაზღაუროს მიწოდებული მომსახურების ღირებულება.

4.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები

5. სტანდარტები

5.1 მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და უნდა იყოს მხარეთა შორის შეთანხმებული ხარისხის.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მიწოდებული მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი.
6.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან (როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი) 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.
6.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს განახორციელებს სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქ. რუსთავის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი მ. გამსახურდია.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.
7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს ს.ს.ი.პ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქ. რუსთავის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი.
7.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად აცნობოს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების მოცულობის და წუნდების მიზეზების შესახებ.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
8.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა ლარი;
8.1.2 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
8.2 ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს მიღება ჩაბარების აქტი და ანგარიშფაქტურა.
8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 15 დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებული უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს

გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 პუნქტის შესაბამისად

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.1% ოდენობით.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით.
10.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეები იტოვებენ უფლებას, რომ შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოითხოვონ შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 2 დღით ადრე.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკულების დამდებ რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში. იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე. თითოეულ მხარეს აქვს ამ ხელშეკრულების თითო ეგზემპლიარი.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ს.ს.ი.პ ქ. რუსთავის სამუსიკო სასწავლებელი.
მისამართი: ქ. რუსთავი, ჭავჭავაძის
№4. ტელ: 824 15-68 60;895 91-29-91
საბანკო რეკვიზიტები:ქ. რუსთავი სს"ლიბერთი ბანკის"
220101413, ა/ა 3408840001 ს/კ216297166

დირექტორი **მ. გამსახურდია**

შემსრულებელი. *შ.პ.ს. „ელ+"*
ს/კ: 206108950

ვითიბი ბანკი

ბანკის კოდი: **UGEBGE22**

ა/ა: **GE19VT7000004205253602**

მისამართი.ქ.თბილისი, ბაქრაძის №6

დირექტორი **ლ. ჭუმბურიძე**